# თვითმმართველობა

## გამოიყენე შენი უფლება

# თქვენს ხმას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია

2014 წლის 12 ივლისს, საქართველოს 8 თვითმმართველ ქალაქსა და 13 მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური გაიმართება. პოლიტიკოსები, ექსპერტები, სპეციალისტები და საზოგადოება აქტიურად მსჯელობს ჩვენს პოლიტიკურ რეალობაში დამდგარ შედეგზე, რითაც გარდაუვალი გახდა არჩევნების მეორე ტურის დანიშვნა. საკითხთან დაკავშირებით, სამი შეხედულება დომინირებს, რომლის თანახმადაც, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მიმართ მოსახლეობის დაბალი ჩართულობა თავად თვითმმართველობის ინსტიტუტის მიმართ ტრადიციული დამოკიდებულებით აიხსნება, მოსახლეობის ნაკლები ჩართულობა განაპირობა ხელისუფლების მიმართ ეროვნული დონის არჩევნებზე გაცემული სხვადასხვა დაპირების ნაწილობრივ შესრულებამ და თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური შეფასებულ იქნა, როგორც ქვეყანაში დემოკრატიული პროცესის ნამდვილობა, თავისუფალი და გამჭვირვალე საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის შედეგი და ხელისუფლების პოლიტიკური ნების გამოვლენა, ჩაატაროს არჩევნები კანონის უზენაესობით და სამართლიან გარემოში. ბუნებრივია, ყველა მოსაზრებას საკუთარი არგუმენტი გააჩნია, თუმცა ფაქტი ერთია — საქართველოს საარჩევნო ისტორიაში, არჩევნების მეორე ტური, პირველი შემთხვევაა, რომელიც თვისობრივად ცვლის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მიდგომებს არჩევნებში მონაწილეობის კულტურასთან, ზრდის საზოგადოების პასუხისმგებლობას და პოლიტიკის შემქმნელებს მიუთითებს იმ ვალდებულებების შესრულებაზე, რომელიც მათ ნდობის სახით, ამომრჩევლისგან მიიღეს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ამომრჩევლის ინფორმირებას განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს, ვინაიდან ინფორმირებული მოქალაქეები, რომლებიც დამოუკიდებელ და თავისუფალ არჩევანს აკეთებენ, ხდებიან უშუალო დემოკრატიის მონაწილენი და გააზრებულია პასუხისმგებლობა, რომელსაც ამომრჩეველი პოლიტიკური პასუხისმგებლობის მქონე კანდიდატებს აკისრებენ. შესაბამისად, არჩევნების, საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების, მიმდინარე საკითხებზე სწორი ინფორმაციის მიწოდებას, ქვეყანაში დემოკრატიული მიდგომების დამკვიდრებისთვის, ერთ—ერთი აუცილებელი პირობა გააჩნია. ხელისუფლების მთავარი წყაროა ხალხი, თუმცა ეს კონსტიტუციური დებულება, დამოუკიდებელი საქართველოს საარჩევნო ისტორიაში, ხშირად საზოგადოებრივი ნების საწინააღმდეგო შედეგებით აღინიშნებოდა. ადგილობრივი თვითმმართველობა საწყისი ელემენტია, რათა ადგილობრივმა საზოგადოებამ უშუალოდ უზრუნველყოს ადგილობრივი მუნიციპალური მთავრობების ფორმირება. თვითმმართველობა ხალხსა და ხელისუფლებას შორის მუდმივი კავშირის საუკეთესო მაგალითი უნდა გახდეს.

დღესდღეისობით, ამომრჩეველს გააჩნია შესაძლებლობა, ისარგებლოს იმ სიკეთეებით, რომლებიც საკანონმდებლო დონეზე შეიქმნა. ახალი „ადგილობრივი თვითმმართველობის“ კოდექსი, მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევის შესაძლებლობას იძლევა. ახალი 50%-იანი საარჩევნო ბარიერის შემოღება, ადგილობრივ დონეზე, უფრო მეტად ამცირებს ხელისუფლების, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და არჩევნების მიმართ ხალხის ჩამოყალიბებულ, უმეტესწილად ნეგატიურ შეხედულებებს და ამკვიდრებს ისეთ სტანდარტს, რომელიც განვითარებულ, დემოკრატიულ, ევროპულ ქვეყნებში არის.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ აღნიშნული გაზეთით მიზნად ვისახავთ, საზოგადოებას მივაწოდოთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის მიმართ საყურადღებო ინფორმაცია, რომელიც დაინტერესებულ მოქალაქეებს, კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების, არჩევითი ორგანოებისა და სხვადასხვა სფეროში ცვლილებებისთვის, გადამწყვეტია ერთი ამომრჩევლის მონაწილეობა, ერთი ამომრჩევლის ხმა, რაც უპირობოდ ნიშნავს მოქალაქის უფლების უნივერსალურობას, უფლების სუვერენულობას, რითაც შესაძლებელი ხდება რეალური ცვლილებები განხორციელდეს.

ამიტომაც, მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ საკუთარი არჩევანი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებითაც გააკეთოს. 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებმა, ნამდვილად აჩვენა ის ფაქტი, რომ ხალხის ხმას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია.

# სად ჩაეჯარდება არჩევნების მეორე ტური, როგორ გამოვლინდება გამარჯვებული

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე ტური გაიმართება. ქვეყანას არჩევნების მეორე ტურის პრაქტიკა არ გააჩნია. ამიტომაც, მნიშვნელოვანია ამომრჩეველმა იცოდეს, თუ რა ვითარებაში გახდა აუცილებელი, მეორე ტურის ჩატარების გადაწყვეტილება მიღებულიყო. საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, არჩევნების მეორე ტური ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების პირველ ტურში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. ამავე კოდექსის თანახმად, მერისა და გამგებლის არჩევნებში, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 50 პროცენტზე მეტი მიიღო. 2014 წლის 15 ივნისს ჩატარებულ თვითმმართველობის არჩევნებში, თბილისსა და 13 მუნიციპალიტეტში, საჭირო გახდა არჩევნების მეორე ტურის ჩატარება, ვინაიდან მერობისა და გამგებლობის წარდგენილმა ვერცერთმა კანდიდატმა, ვერ მიიღო ხმების ნახევარზე მეტი, რომელიც გათვალისწინებული იყო კანონმდებლობით. ამჟამად, 12 ივლისის არჩევნების მეორე ტურში, უკვე მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ის ორი კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. იმ შემთხვევაში, თუ ორზე მეტ კანდიდატს ერთნაირი საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა, ან ერთი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მომდევნო რამდენიმე კანდიდატმა თანაბარი რაოდენობის ხმები მიიღო, მეორე ტურში ყველა ეს კანდიდატი მონაწილეობს.

საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მეტი ხმა მიიღო. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატებმა თანაბარი რაოდენობის ხმები მიიღეს, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო. თუ ხმათა ეს რაოდენობებიც ტოლი აღმოჩნდა, გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია.

12 ივლისს, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების - თვითმმართველი ქალაქებისა და თემების მერებისა და გამგებლების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებისთვის მეორე ტური გაიმართება. მეორე ტური 8 თვითმმართველ ქალაქში და 59-დან 13 მუნიციპალიტეტში გაიმართება. მერის არჩევნები ჩატარდება შემდეგ ქალაქებში: თბილისი, რუსთავი, მცხეთა, გორი, თელავი, ოზურგეთი, ბათუმი და ფოთი, ხოლო გამგებლის არჩევნები შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ქობულეთი, ახმეტა, ყვარელი, გორი, თიანეთი, მარტვილი, ბაღდათი, ხონი, ტყიბული, ლანჩხუთი, თერჯოლა, თელავი და ხულო.


ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

DIGNITY
LIBERTY
EQUALITY

# თბილისის მეორე ტური

## დავით ნარმანია

**დაბადების თარიღი / ადგილი**
1979-07-03, ზუგდიდი

**განათლება**

1996-2002 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე. 2000 წელს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის და 2002 წელს ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი. 26 წლის ასაკში დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის აკადემიური დოქტორის ხარისხი. იყო ჯორჯ შულცის სახელობის სტიპენდიანტი. 2007-2008 და 2011-2012 წლებში სამეცნიერო სტაჟირება გაიარა გერმანიის აკადემიური გაცვლების სამსახურის (DAAD) პროგრამით პოტსდამის უნივერსიტეტის ფინანსურ მეცნიერებათა კათედრაზე.

**სამუშაო გამოცდილება**

2012-2014 წლებში იყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, საქართველოს მთავრობის წევრი. 2009-2012 წლებში მუშაობდა „კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის“, CIESR-ის აღმასრულებელ დირექტორად. 2008-2009 წლებში — „საკონსულტაციო-ანალიტიკური ტრენინგ-ცენტრის” კვლევითი განყოფილების უფროსად. 2000-2007 წლებში იყო „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის” გამგეობის თავმჯდომარე; 2005-2006 წლებში — „პრივატიზებულ საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრის”, CERMA-ს უფროსი ბიზნესკონსულტანტი. 2005-2006 წლებში მუშაობდა „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის” გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ; 2004-2005 წლებში - კომპანია „ბიზნეს-კონსალტინგის ჯგუფის” გენერალურ დირექტორად. 2003-2004 წლებში იყო „საზოგადოებრივი განვითარების ინსტიტუტის” საგადასახადო-საბიუჯეტო პროგრამის კოორდინატორი; 2001-2003 წლებში — „საქართველოს საგადასახადო შემოსავლებისა და ფინანსთა სამინისტროების” უფროსი სპეციალისტი და სამინისტროს სათათბირო ორგანოს მდივანი; 1999-2001 წლებში — „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის”, ეკონომიკური განათლების პროგრამის კოორდინატორი. 2005 წლიდან დღემდე მოღვაწეობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამჟამად არის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის გამგე, სრული პროფესორი. მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობა დაკავშირებულია ასევე საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან (GIPA) და ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტთან (GAU). მისი ავტორობით გამოცემულია 24 სამეცნიერო და პოპულარული ნაშრომი, არის 34 სამეცნიერო ნაშრომის თანაავტორი, ასევე 2 სახელმძღვანელო. მისი ხელმძღვანელობით 2005-2006 წლებში მომზადდა ქ. თბილისის პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგია, ქონებრივი და ფინანსური ადმინისტრირების მოდელი, ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობა. მინისტრობის პერიოდში საფუძველი ჩაეყარა თვითმმართველობის რეფორმას, რეგიონული განვითარების დაგეგმვას და განხორციელდა მოცულობითი ინფრასტრუქტურული პროექტები.ფლობს გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

**ოჯახური მდგომარეობა**

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

**აუცილებელი აღნიშვნა: კანდიდატის შესახებ ბიოგრაფია მოტანილია საიტიდან: http://partiebi.ge**

## ნიკა მელია

**დაბადების თარიღი/ადგილი**
1979-12-21, თბილისი

**განათლება**

დაამთავრა თბილისის 47-ე საშუალო სკოლა. 2002 წელს - საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემია სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2006 წელს დაამთავრა ოქსფორდის ბრუქსის უნივესრსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, მიიღო მაგისტრის ხარისხი.

**სამუშაო გამოცდილება**

2002-2003 წლებში მუშაობდა საქართველოს უშიშროების სამინისტროში გამომძიებლად. 2007 წელს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თავდაცვისა და მართლწესრიგის დეპარტამენტში - მრჩევლად. 2007-2008 წლებში მუშაობდა ამავე აპარატის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში მრჩევლად. 2008-2009 წლებში - აღსრულების ეროვნულ ბიუროში თავმჯდიმარის მოადგილედ. 2009-2010 წლებში მუშაობდა ამავე ბიუროს თავმჯდომარედ. 2010 წელს მუშაობდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსად. 2010 წელს - აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსად. 2010-2012 წლებში მუშაობდა ამავე ბიუროს თავმჯდომარედ. 2010 წლიდან დღემდე მუშაობს ძველი თბილისის გამგეობაში გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად.

**ოჯახური მდგომარეობა**

ნიკა მელიას ჰყავს მამა, ანზორ მელია, დაბადებული 1947 წელს, შპს კარდიოლოგიური კლინიკა „გულის“ გენერალური დირექტორი; დედა - ნანა ცანავა, დაბადებული 1952 წელს, დიასახლისი და და - თამარ მელია, დაბადებული 1978 წელს, შპს კარდიოლოგიური კლინიკა „გულის“ დირექტორი.

**აუცილებელი აღნიშვნა: კანდიდატის შესახებ ბიოგრაფია მოტანილია საიტიდან: http://partiebi.ge**

## დავით ნარმანია: „მოხდება საზოგადოების აქტიური ჩართულობა ქალაქის მართვაში“

მმართველი პოლიტიკური ძალის, კოალიცია „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი, საზოგადოებას სთავაზობს საარჩევნო პროგრამას, რომელიც მოიცავს დედაქალაქის წინაშე არსებული საკითხების მოწესრიგების მიმართულებით მრავალეტაპიან ხედვას. დავით ნარმანია დედაქალაქში ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს შექმნას გეგმავს. პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ტრანსპორტის საკითხს. იგეგმება ხაზების სრულყოფა, მიკროავტობუსებისა და ავტობუსების ტექნიკური გამართვა, მათი რაოდენობრივი ოპტიმიზება. ასევე სარკინიგზო ხაზის ქალაქის პერიფერიულ ნაწილში გადატანა, მეტრო-სადგურების გარემონტება, საბაგირო ტრანსპორტის პოპულარიზაცია, პარკირების პრობლემის მოსაგვარებლად კი მრავალსართულიანი ავტოსადგომების აშენება მოხდება. ასევე, დაგეგმილია ინფრასტრუქტურის ადაპტაცია შშმ პირებისთვის.

კითხვაზე: „როგორია ხედვა თბილისის განვითარების ძირითადი პრიორიტეტების შესახებ?!“, დავით ნარმანია პასუხობს, „მრავალი წლის განმავლობაში ქალაქის განვითარების საკვანძო პრინციპების უხეშმა იგნორირებამ, მიგვიყვანა იქამდე, რომ ფაქტობრივად, არ არსებობს სფერო მწვავე და დაუყოვნებლივ გადასაჭრელი საკითხების გარეშე. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზიც გვიჩვენებს, რომ რეალური და სტაბილური განვითარება მხოლოდ ინტეგრირებული და ჰარმონიზებული პოლიტიკის გატარებით არის შესაძლებელი. შესაბამისად, ჩვენი პროგრამის ინიციატივები ფოკუსირებულია ოთხ კომპონენტში:

-საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე - ხელმისაწვდომი, ხარისხიანი განათლება და ჯანდაცვა; ადეკვატური სოციალური დაცვა; კომფორტული საცხოვრისი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კომუნალური სერვისი; უსაფრთხო გარემო; მუდმივად მზარდი კულტურული და რეკრეაციული სივრცე.

-ბიზნესის მასტიმულირებელი გარემოს შესაქმნელად - უწყვეტი გადამზადება ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებისა და ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით; ფინანსურ რესურსთან ხელმისაწვდომობა; მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა; ყველაზე მნიშვნელოვანი ინოვაციური პროექტების დროული განხორციელების მიზნით საჯარო-კერძო პარტნიორობის სქემებში ინტენსიური მონაწილეობა; ქართული (და არა მხოლოდ დედაქალაქის) ბიზნესისათვის მიწოდების სფეროში ხარვეზების აღმოსაფხვრელად შესაბამისი პროფილის მომწოდებლების ბაზარზე დამკვიდრებაში ხელშეწყობა და იმპორტის ლოჯისტიკური ცენტრის ფუნქციის ექსპორტის ლოჯისტიკით ჩანაცვლება; ენერგეტიკული თვითკმარობისკენ სწრაფვა;

-ჯანსაღი გარემოსათვის - მწვანე სივრცის მართვა; წყლის რესურსებისა და მყარი ნარჩენების მართვა; ენერგოეფექტიანობაზე ორიენტაცია; კლიმატის ცვლილების რისკების მართვა; ჰაერის ხარისხის მართვა;

-ეფექტიანი და ქმედითი მმართველობის განსახორციელებლად - გონივრული და ჰარმონიული ურბანული დაგეგმვა; საჯარო სერვისების თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა და გამარტივებული წვდომის უზრუნველყოფა; მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; სოციალური უთანასწორობის შერბილება; საზოგადოების აქტიური ჩართულობა ქალაქის მართვაში და საქმიანობის გამჭვირვალობა; მკაფიო და გაზომვად შედეგებზე ორიენტირება; ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო ფუნქციების აქტუალიზაცია.

## ნიკა მელია: „თბილისს აქვს პოტენციალი, იყოს მულტიფუნქციური ქალაქი“

საპარლამენტო ოპოზიციის — „ერთიანი ნაციონალულური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატი, ნიკა მელია საზოგადოებას სოციალური საკითხების მოგვარებას და დედაქალაქში ეკონომიკის ამუშავებას ჰპირდება. ოპოზიციონერი კანდიდატის დაპირებების ჩამონათვალი, ასე გამოიყურება:

1. საწვავზე და გაზზე აქციზის გადასახადის გაუქმება, რაც ენმ-ის მტკიცებით, 25 თეთრით გააიაფებს საწვავს, ხოლო გაზს - 8 თეთრით.

2. გადასახადების შემცირებას, მათ შორის საშემოსავლო გადასახადის 5 პროცენტით შემცირებას, რაც ენმ-ის გეგმით, ბიზნესის გაფართოებისა და მეტი ადამიანის დასაქმების საშუალებას მისცემს.

3. ბიზნესთან დაკავშირებული გადაცდომებისა და დარღვევების დეკრიმინალიზებას, რაც ენმ-ის მტკიცებით, ბიზნესსექტორში ნდობას გააჩენს და ბიზნესის ზრდის სტიმულს შეუქმნის.

4. შეჩერებული ინფრასტრუქტურული პროექტების განახლებას.

5. ყველასთვის ხელმისასწვდომი, კომფორტული საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა, რაც პარტიის განმარტებით, ახალი, კომფორტული ტრანსპორტის ამოქმედებას და შეღავათების ფართო სისტემის ფორმირებას გულისხმობს.

თბილისის მერობის კანდიდატი, ნიკა მელია ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მეწარმეობის იდეის პოპულარიზაციას გეგმავს და დამწყები ბიზნესმენების დახმარებასა და ახალი ბიზნესების მოზიდვას აპირებს. ასევე, მისი პრიორიტეტებია ავტოპარკის სრული განახლება და ქალაქის თანამედროვე საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა. იგი მეტროპოლიტენის ქსელის განვითარებასა და თანამედროვე ტრამვაის პროექტის განხორციელებასაც აპირებს. ამასთან, ნიკა მელია აცხადებს, რომ აუცილებელია, სადაზღვევო პაკეტები მედიკამენტების გაფართოებულ ჩამონათვალს მოიცავდეს, რომელიც სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურდება, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები კი მნიშვნელოვანი შეღავათებით ისარგებლებენ. თბილისის მერობის კანდიდატი დედაქალაქის ბიუჯეტიდან ახალი მწვანე ზონების შექმნასა და განვითარებასაც გეგმავს. ნიკა მელია მიუთითებს, რომ სკვერებისა და ბაღების მოწყობა, ყველა უბანში უნდა გაგრძელდეს.

მერობის კანდიდატის დაპირებებში შედის გათბობისა და ცხელი წყლის ინოვაციური სისტემის დანერგვაც, რომელიც, მისი თქმით, ოჯახს ხარჯს ზამთარში 35%—ით გაუიაფებს, ზაფხულში კი მისი გამოყენება პრაქტიკულად უფასო იქნება.

კითხვაზე: „როგორია ხედვა თბილისის განვითარების ძირითადი პრიორიტეტების შესახებ?!“, ნიკა მელია პასუხობს, რომ „თბილისში უნდა გაგრძელდეს ცხოვრების გაუმჯობესებისა და სოციალურ—ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი გარემოს ფორმირება, მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის, სოციალური სტაბილურობისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, რათა მოქალაქეებმა მიღწეული პროგრესი საკუთარ ოჯახებში იგრძნონ. ამისათვის, ქალაქის მერიამ უნდა გააგრძელოს ინფრასტრუქტურის განვითარება და მოსახლეობისათვის მისაწოდებელი საქალაქო სერვისების გაუმჯობესება. თბილისის შემდგომ განვითარებას ვუკავშირებთ მისი ისტორიული ფუნქციის, როგორც სხვადასხვა ცივილიზაციების ერთმანეთთან დამაკავშირებელი ქალაქის, აღდგენას. აღმოსავლეთ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონების გზაგასაყარზე მდებარე თბილისს აქვს პოტენციალი, იყოს მულტიფუნქციური ქალაქი, მრავალმხრივი შეხვედრების ადგილი ბიზნესის, დასვენებისა და ტურიზმისთვის. თბილისის ამ ფუნქციას უკავშირდება დედაქალაქის განვითარების ჩვენი პრიორიტეტები: თითოეული მაცხოვრებლისთვის ცხოვრების მაღალი ხარისხი, დანარჩენ მსოფლიოსთან მჭიდროდ დაკავშირებული თანამედროვე მმართველობის მქონე ქალაქი განათლებული, აქტიური სამოქალაქო საზოგადოებით“ — აცხადებს ნიკა მელია.

# თვითმმართველობის რეფორმა - რას გვთავაზობს თვითმმართველობის ახალი კოდექსი

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოში არსებულ მუნიციპალიტეტებსა და მის საკრებულოებზე ვრცელდება. მუნიციპალიტეტის საკრებულო კი ამავე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომლის არჩევაც 4 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით ხორციელდება, რომლის საქმიანობაც პირდაპირ არის დარეგულირებული აღნიშნული კოდექსით. აღსანიშნავია, რომ წარსულში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირს საკრებულოს თავმჯდომარე წარმოადგენდა, რეფორმის მიხედვით კი უმაღლესი თანამდებობის პირი პირდაპირი წესით არჩეული გამგებელი (მერი) ხდება.

თვითმმართველობის ძველი კანონისაგან განსხვავებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულო. თითოეულ თვითმმართველ ორგანოს ახალი, ისევე როგორც ძველი კანონმდებლობა სპეციალური და დელეგირებული უფლებამოსილებებით აღჭურავს.

საკუთარი, ანუ ექსკლუზიური უფლებამოსილებები მოიცავს საბიუჯეტო საქმიანობას, მოსაკრებლის შემოღებას, გაუქმებას და ადმინისტრირებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობას და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას, დასუფთავებას, გამწყვანებას, გარე განათებას და კიდევ მრავალ სხვა ფუნქციას.

მოქმედმა კანონმდებლობამ ახლიდან ჩამოაყალიბა დელეგირებული უფლებამოსილებების ცნება და განსაზღვრა, რომ სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანომ მუნიციპალიტეტს შეიძლება გადასცეს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს ის უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელებას ადგილობრივ დონეზე უფრო ეფექტიანია.

გარდა ამისა, ახლადმიღებული კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, რომ თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც მის უფლებამოსილებას განეკუთვნება და არ არის აკრძალული კანონით.

საკრებულოს წევრის სტატუსის ვადამდე ადრე შეწყვეტა „თვითმმართველობის შესახებ“ კანონის ძველ ვერსიაში მოწესრიგებულია 32 (2') მუხლში. ამ მუხლში დეტალურად არის აღწერილი ის შემთხვევები, როცა თვითმმართველობის წევრს უწყდება უფლებამოსილება. ესენია:

- პირადი განცხადებით უფლებამოსილების მოხსნა;
- მის მიმართ სისხლისსამართლის საქმეზე კანონიერ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;
- თუ იგი სასამართლომ ქცნო ქმედუუნაროდ, აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად, ან გამოაცხადა გარდაცვლილად;
- შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა;
- არასაპატიო მიზეზით 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა საკრებულოს მუშაობაში და სხვა;

რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარეს, მისი გადაყენება თანამდებობიდან შეუძლია საკრებულოს. თავმჯდომარის გადაყენების შესახებ საკითხის დასმა შეუძლია საკრებულოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. საკრებულოს თავმჯდომარე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ წინადადებას მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. რაც შეეხება თვითმმართველობის შესახებ კანონის ახალ ვერსიას, აქ, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება 34-ე მუხლშია აღწერილი, თუმცა უნდა ითქვას, რომ ძველი წესები საერთოდ არ შეცვლილა ანუ ახალმა კოდექსმა საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, აბსოლუტურად გაიზიარა და შეუცვლელი დატოვა მანამდე არსებული ჩანაწერი.

„თვითმმართველობის შესახებ“ ახალი კანონის მესამე მუხლში განხილულია საკრებულოს წევრის ვადამდე ადრე შეწყვეტა ან შეჩერება. ძველი კანონმდებლობისგან განსხვავებით, (რომელიც ზემოთ იქნა განხილული), ახალ კანონში განხილულია არამარტო ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები, რომლის ყველა პუნქტიც შეუცვლელი დარჩა, არამედ, დეტალურად არის განმარტებული ეს საფუძვლები. მაგალითად, თუ მოხდება საკრებულოს წევრის ვადამდე ადრე დათხოვნა, იმ მიზეზით, რომ 6 თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ მონაწილეობდა საკრებულოს მუშაობაში, ამ მუხლის მე-5 პუნქტი ამბობს, რომ საკრებულოს შესაბამისი კომისია ვალდებულია დეტალურად გამოარკვიოს შემთხვევის მიზეზი. აღსანიშნავია, რომ ახალმა კანონმა უფრო დააკონკრეტა საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძვლის არსებობისას, როგორ უნდა მოხდეს გადაყენება/დათხოვნა/უფლებამოსილების შეწყვეტა. ამან შესაძლოა დადებითი შედეგი გამოიღოს, რადგან, კანონი აკონკრეტებს და ე.წ ახნა განმარტებას გვთავაზობს თითოეული საფუძვლისა, რაც მომავალში შესაძლო ბუნდოვანებას გამორიცხავს.

რაც შეეხება გამგებლის ვადამდე ადრე უფლებამოსილების შეჩერებას/შეწყვეტის, კანონი ერთმანეთისგან გამოყოფს გამგებლის უფლებამოსილების შეჩერებასა და შეწყვეტის საფუძვლებს. მაგალითად, შეჩერების საფუძველია სასამართლოს მიერ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება, სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება, შვებულება, დროებითი შრომისუუნარობა, საპრეზიდენტო ან წარმომადგენლობით ორგანოებში კანდიდატად წარდგენა და სხვა, ხოლო უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია, უფლებამოსილების ვადამდე ამოწურვა, უფლებამოსულების პირადი განცხადებით მოხსნა, გარდაცვალება, საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა და სხვა. კანონის ძველი რედაქცია, გამგებლის უფლებამოსილების შეწყვეტის/შეჩერების ასეთ კონკრეტულ სახეებს არ იცნობდა.

როგორც ჩანს, თვითმმართველობის შესახებ ახალი კანონი, როგ შემთხვევებში, უფრო დაკონკრეტებულია, რაც უფრო ნათელს ხდის ამა თუ იმ ინსტიტუტის მუშაობას, მათ უფლებამოსილებებს, უფლებამოსილებათა შეწყვეტის/შეჩერების ან ვადამდე ადრე გადაყენების სამართლებრივ საფუძვლებს. მიგვაჩნია, რომ ეს გააადვილებს თვითმმართველი ერთეულების მუშაობას, რადგან აღმოფხვრილია ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა, რასაც ძველი კანონმდებლობა ვერ აწესრიგებდა. რაც შეეხება თბილისის მერის არჩევნების მეორე ტურს, როგორც ვხედავთ მისი ჩატარების წესს საარჩევნო კოდექსი გვაწვდის. მართალია მას მხოლოდ 1 მუხლი აქვს დათმობილი, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ეს მუხლი საკმაოდ ნათელი და მკაფიოა.

თვითმმართველი ქალაქის, თემის მერი და გამგებელი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. არჩევნებში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 50%-ზე მეტი მიიღო.

ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნები ტარდება პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების საფუძველზე. ამომრჩეველს აქვს ერთი ხმის უფლება პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე და ერთი ხმის უფლება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

ხშირ შემთხვევაში, საზოგადოების ნაწილმა არ იცის რა განსხვავებაა მათ შორის და დაბნეულობას იწვევს აღნიშნული სისტემები. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის დროს კენჭს იყრიან კანდიდატები - ადამიანები უშუალოდ და გამარჯვებულია ის, ვინც ყველაზე მეტ ხმას მოიპოვებს. ხოლო პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს კენჭს იყრიან პარტიული სიები, რომელთა მანდატები ნაწილდება მოპოვებული ხმების პროპორციულად. ხოლო პროპორციული სიის მიერ მოპოვებული მანდატი ნაწილდება პარტიულ სიაში შემავალ კანდიდატებზე სიის დასაწყისიდან მიყოლებით.

პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ჩატარებული არჩევნების შედეგების დასადგენად პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება საარჩევნო ოლქში პროპორციული წესით გასანაწილებელი მანდატების რაოდენობაზე და იყოფა იმ პარტიების/საარჩევნო ბლოკების მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 4%-ისა. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

თუ საარჩევნო ოლქში პარტიული სიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი მანდატების საერთო რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი, პირველ რიგში, თანამიმდევრობით მიეკუთვნება უკეთესი შედეგის მქონე იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით ვერ მოიპოვეს მანდატი, მაგრამ მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 4%-ისა. თუ ამის შემდეგ კიდევ დარჩება გაუნაწილებელი მანდატი (მანდატები), თითო მანდატი თანამიმდევრობით მიეკუთვნება იმ პარტიულ სიებს, რომლებსაც ერთი მანდატი მაინც ჰქონდათ მოპოვებული და სხვებზე დიდი ნაშთი აქვთ. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული წესით ვერცერთმა პარტიულმა სიამ ვერ მოიპოვა მანდატი, თითო მანდატი მიეკუთვნება პროპორციული წესით გასანაწილებელი მანდატების რაოდენობის შესაბამის იმ სუბიექტებს, რომლებმაც სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოში არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომელთა რიგითი ნომრებიც პარტიულ სიაში ნაკლებია ან ტოლია ამ პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობისა.

იმ შემთხვევაში, თუ საკრებულოს წევრობის კანდიდატი არჩეულია როგორც ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან, ისე პარტიული სიით, მაშინ იგი ითვლება ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეულად, ამოიღება პარტიული სიიდან და სიაში კანდიდატის წანაცვლება განხორციელდება ამ კანონით დადგენილი წესით.

რაც შეეხება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ჩატარებული არჩევნების შედეგების დადგენას, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებს. თუ არჩევნებში მონაწილე ორმა კანდიდატმა მოაგროვა ხმათა თანაბარი რაოდენობა, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც უფრო ადრე იყო რეგისტრირებული შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

## თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურს საერთაშორისო დამკვირვებლები კვლავ დააკვირდებიან

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურს საერთაშორისო დამკვირვებლები კვლავ დააკვირდებიან. აღნიშნული განცხადება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე გააკეთა. მისივე თქმით, არჩევნებს იგივე დამკვირვებლები დააკვირდებიან, რომლებიც იყვნენ პირველ ტურზე და ესენი არიან საელჩოები, ასევე რამდენიმე ინსტიტუტის წარმომადგენლები, მათ შორის, NDI, IRI. მაია ფანჯიკიძე დარწმუნებულია, რომ არჩევნების მეორე ტურიც ჩატარდება ისეთივე მაღალ დონეზე, როგორც ჩატარდა არჩევნების პირველი ტური და თუ რაიმე წვრილმანი დარღვევა სადმე დაფიქსირდება, დროულად იქნება გამოძიებული, როგორც პირველი ტურის შემთხვევაში.

# კანდიდატები, რომლებსაც მოქალაქეები მეორე ტურში აირჩევენ

*საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ამომრჩეველთა აქტივობამ 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, საქართველოს მასშტაბით, 43.31% შეადგინა. ადგილობრივ არჩევნებზე, სულ 1 485 372 ამომრჩეველი მივიდა, რაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 43.31%—ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი, ოთხი წლის წინ ჩატარებულ ადგილობრივ არჩევნებზე დაბალი აღმოჩნდა. მაშინ ამომრჩეველთა აქტივობამ 49% შეადგინა. 2014 წლის 7 ივლისს, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, საკუთარ ვებ—გვერდზე გამოაქვეყნა ინფორმაცია, თუ რომელ ტერიტორიულ ერთეულებში გაიმართება ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე ტური. ამდენად, მეორე ტური 8 თვითმმართველ ქალაქში და 59-დან 13 შემდეგ მუნიციპალიტეტში გაიმართება:*

**მერის არჩევნები ჩატარდება საქართველოს შემდეგ ქალაქებში:**

**1. თბილისი**
№41 დავით ნარმანია (”ქართული ოცნება”)
№5 ნიკანორ მელია (”ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”)
**2. რუსთავი**
№41 დავით ჯიქია (”ქართული ოცნება”)
№5 მამუკა ჩიქოვანი (”ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”)
**3. მცხეთა** 63.3
№41 ავთანდილ ნემსიწვერიძე (”ქართული ოცნება”)
№6 დავით მაჩხანელი (”გიორგი გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია”)
**4. გორი**
№41 ზურაბ ჯირკველაშვილი (”ქართული ოცნება”)
№14 კახაბერ ერგემლიძე (”ირაკლი ოქრუაშვილი -ქართული პარტია”)
**5. თელავი**
№41 პლატონ კალმახელიძე (”ქართული ოცნება”)
№5 ალექსი ძულიაშვილი (”ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”)
**6. ოზურგეთი**
№41 ბეგლარ სიორიძე (”ქართული ოცნება”)
№8 შოთა გოგიბერიძე (”დავით თარხან-მოურავი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი”)
**7. ბათუმი**
№41 გიორგი ერმაკოვი (”ქართული ოცნება”)
№5 გიორგი დიასამიძე (”ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”)
**8. ფოთი**
№41 ირაკლი კაკულია (”ქართული ოცნება”)
№8 უშანგი გეგენავა (”დავით თარხან-მოურავი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი”)

**გამგებლების არჩევნები ჩატარდება საქართველოს შემდეგ მუნიციპალიტეტებში:**

**1. ახმეტა**
№41 ბექა ბაიდაური (”ქართული ოცნება”)
№3 ზურაბ ფილაშვილი (”ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია”)
**2. ყვარელი**
№41 ილია მზექალაშვილი (”ქართული ოცნება”)
№5 ხატია დეკანოიძე (”ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”)
**3. გორი**
№41 დავით ონიაშვილი (”ქართული ოცნება”)
№14 ბონდო ვათიაშვილი (”ირაკლი ოქრუაშვილი -ქართული პარტია”)
**4. თიანეთი**
№41 ლელა ქიტესაშვილი (”ქართული ოცნება”)
№3 ილია არჩემაშვილი (”ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია”)
**5. მარტვილი**
№41 ალექსანდრე გრიგალავა (”ქართული ოცნება”)
№3 დავით ინჯია (”ნინო ბურჯანაძე -ერთიანი ოპოზიცია”)
**6. ქობულეთი**
№41 სულხან ევგენიძე (”ქართული ოცნება”)
№5 რევაზ ხარაზი (”ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”)
**7. ბაღდათი**
№41 ირაკლი გეგეშიძე (”ქართული ოცნება”)
№ 18 მევლუდ კიკნაველიძე (”სალომე ზურაბიშვილი-საქართველოს გზა”)
**8. ხონი**
№41 ჯემალ მებუკე (”ქართული ოცნება”)
№5 ზურაბ ჯიბუხაია (”ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”)
**9. ტყიბული**
№41 რობიზონ გვენეტაძე (”ქართული ოცნება”)
№3 თენგიზ ჭიქაბერიძე (”ნინო ბურჯანაძე -ერთიანი ოპოზიცია”)
**10. ლანჩხუთი**
№41 ზაზა ურუშაძე (”ქართული ოცნება”)
№8 ბარნაბ ჭყონია (”დავით თარხან-მოურავი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი”)
**11. თერჯოლა**
№41 თეიმურაზ ჯაფარიძე (”ქართული ოცნება”)
№5 ტარიელ ფანჩულიძე (”ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”)
**12.თელავი**
№41 ალექსანდრე შათირიშვილი („ქართული ოცნება”)
№5 გიორგი ბოტკოველი (”ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”)
**13. ხულო**
№41 ბესიკ ბაუჩაძე (”ქართული ოცნება”)
№8 ემზარ ბოლქვაძე (”დავით თარხან მოურავი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი”)

# 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების პირველი ტურის შედეგები

საქართველოში, 2014 წლის 15 ივნისის, რიგით მე-5 თვითმმართველობის არჩევნებამდე, საერთო ჯამში, 24 არჩევნები ჩატარდა. ამათგან მხოლოდ 4 იყო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და მხოლოდ 2014 წლის 15 ივნისის თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ დადგა საჭიროება, რომ არჩევნების მეორე ტური დანიშნულიყო.

ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებული იყო 3 429 748 ამომრჩეველი, პირველი ტურის შედეგების მიხედვით, 15 ივნისის 20:00 საათისთვის, საქართველოს მასშტაბით, თავისი პოზიცია დაფიქსირებული ჰქონდა 1485372 ამომრჩეველს, რითაც მოქალაქეთა საერთო აქტივობამ 43,31% შეადგინა. თბილისში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა 918667, რომელთა მხოლოდ 37,3%-მა ანუ 342 996 ამომრჩეველმა დააფიქსირა თავისი არჩევანი.

**საქართველოს დედაქალაქის, თბილისის საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების შედეგები შემდეგია:**

- არასაპარლამენტო ოპოზიცია, საარჩევნო ნომრით 1 - ხმების რაოდენობა 6562 (2%);
- საქართველოს ძლოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა, საარჩევნო ნომრით 2 - ხმების საერთო რაოდენობა 2 399 (0,73%);
- ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია, საარჩევნო ნომრით 3 - ხმების საერთო რაოდენობა 34 026 (10,35%);
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საარჩევნო ნომრით 5 - საერთო ხმების რაოდენობა 85 858 (26,11%);
- გიორგი გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია. საარჩევნო ნომრით 6 - საერთო ხმების რაოდენობა 4 724 (1,44%);
- უფლის სახელით - უფალია ჩვენი სიმართლე, საარჩევნო ნომრით 7 - საერთო ხმების რაოდენობა 1803 (0,55%);
- დავით თარხან-მოურავი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, საარჩევნო ნომრით 8 - საერთო ხმების რაოდენობა 20 890 (6,35%);
- თვითმმართველობა ხალხს!, საარჩევნო ნომრით 9 - საერთო ხმების რაოდენობა 1444 (0,44%);
- ირაკლი ღლონტი - რეფორმატორები, საარჩევნო ნომრით 11 - საერთო ხმების რაოდენობა 1288 (0,39%);
- ჩვენი საქართველო, საარჩევნო ნომრით 12 - საერთო ხმების რაოდენობა 398 (0,12%);
- მომავალი საქართველო, საარჩევნო ნომრით 13 - საერთო ხმების რაოდენობა 373 (0,11%);
- ქრისტიან დემოკრატიული პარტია (ქრისტიან დემოკრატები), საარჩევნო ნომერი 16 - საერთო ხმების რაოდენობა 521 (0,16%);
- ერთიანობის დარბაზი, საარჩევნო ნომრით 17 - საერთო ხმების რაოდენობა 285 (0,09%);
-სალომე ზურაბიშვილი - საქართველოს გზა, საარჩევნო ნომრით 18 — 3847 (1,17%);
- შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია, საარჩევნო ნომრით 20 - საერთო ხმების რაოდენობა 11290 (3,43%);
- სახალხო პარტია, საარჩევნო ნომრით 26 - საერთო ხმების რაოდენობა 751 (0,23%);
- მერაბ კოსტავას საზოგადოება, საარჩევნო ნომრით 30 - საერთო ხმების რაოდენობა 668 (0,2%);
- საქართველოს მშრომელთა საბჭო, საარჩევნო ნომრით 36 - საერთო ხმების რაოდენობა 386 (0,12%);
- ქართული ოცნება, საარჩევნო ნომრით 41 - საერთო ხმების რაოდენობა 151269 (46,01%).

მეორე ტურში მონაწილეობის უფლება აქვს ორ საუკეთესო შედეგის მქონე სუბიექტს, ასეთები კი როგორც უკვე ვნახეთ, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (26,11%) და „ქართული ოცნება“ (46,01%) იქნებიან. საქართველოს მასშტაბით, ამ ორ პოლიტიკურ სუბიექტზე, ხმების რაოდენობა გადანაწილდა შემდეგნაირად — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 317395 ხმა (22,42%), ხოლო „ქართულ ოცნება“ - 719431 ხმა (50,82%).

უნდა აღინიშნოს, რომ კენჭისყრის პროცესი ძირითადად მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. ამომრჩეველს ჰქონდა ნების თავისუფალი გამოვლების შესაძლებლობა. განსაკუთრებით უხეშ დარღვევებს ადგილი ჰქონდა შემდეგ უბნებზე: მარტვილის მე-16 (გაიტაცეს ბიულეტენები), ზუგდიდის 32-ე (ჩაიშალა ხმის მიცემა), ხონის 22-ე (უბნის დარბევა), ხონის მე-19 უბანი (კენჭისყრის შენობაში შეჭრისა და კარის შემტვრევის მცდელობა) თელავის მე-14 უბანი (ხელმოწერების გაყალბება), მუქარა დამკვირვებელზე (სამგორის 32-ე და ხულოს 27-ე). აღნიშნული პრობლემების საერთო დასახელება შეიძლება შემდეგი მიმართულებით გამოიკვეთოს: დამკვირვებლის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეშლა, საკონტროლო ფურცლების შევსებასთან დაკავშირებული პრობლემები, კენჭისყრის პროცედურების დარღვევა, უბანზე აგიტაციის მცდელობა, არაუფლებამოსილი პირების ყოფნა უბანზე, არაუფლებამოსილი პირის მიერ ხმის მიცემა, გადასატანი ყუთით ხმის მიცემასთან დაკავშირებული საკითხები, მარკირების გარეშე ხმის მიცემის მცდელობა, საარჩევნო სიებთან დაკავშირებული პრობლემა, ამომრჩევლის ნებაზე არაპირდაპირი გავლენა და სხვა, თუმცა მათ არ ჰქონდათ სისტემური ხასიათი, როგორც ეს სხვა არჩევნების შემთხვევის დროს იყო. საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა, საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დემოკრატიულად შეაფასეს. ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელიც ხელშესახები აღმოჩნდა, არჩევნები მშვიდ ვითარებაში, ძალადობის გარეშე მიმდინარეობდა და მოქალაქეებს თავიანთი პოზიციის დაფიქსირებისათვის, ძირითადად, თავისუფალ გარემოში უწევდათ მოქმედება.

**Non-Profit Human Rights NGO Young Barristers”არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “ახალგაზრდა ადვოკატები”**

ღირსება თავისუფლება თანასწორობა — ახალგაზრდა ადვოკატები YOUNG BARRISTERS — DIGNITY LIBERTY EQUALITY

*ორგანიზაციის სადამფუძნებლო საბჭო:* არჩილ კაიკაციშვილი, მარიკა არევაძე, თინათინ ნიბლოშვილი

*ორგანიზაციის გუნდი:* ჯაბა სირაბიძე, ნინი ისაკაძე, ანა კიკნაძე, ლევან ბერაძე, სოფო გოგნაძე, ანა ბარათაშვილი, ანა რაიბული, ნინი ჯაჯანიძე, გიგა ასანიშვილი, რობი გეთიაშვილი

სოფიო აზარიაშვილი - **საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი**; სოფიო კვალიაშვილი - **ოფის-მენეჯერი**; გულო არევაძე - **ფინანსური მენეჯერი**

**მისამართი: თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა №7;**

**E-mail: pryoungbarristers@yahoo.com, pryoungbarristers@gmail.com; Tel: 551 081803, 2 374509, 2374503; www.barristers.ge; www.facebook.com/ახალგაზრდა ადვოკატები**